სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით ბორჯომის იუსტიციის სახლის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი # 3

ქ. თბილისი 23 დეკემბერი, 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:	ირაკლი ლომიძე
სატენდერო კომისიის წევრები:	მალხაზ ოსაძე, ვასილ ჯანჯღავა, გიორგი ტაბიძე, კობა ხუბუნაია, ბესიკი ფოფხაძე.
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:	მალხაზ ტაბლიაშვილი, ლაშა ბოკუჩავა.

დღის წესრიგი: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით ბორჯომის იუსტიციის სახლის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით კონკურსის ჩატარების შესახებ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის წევრის, ვასილ ჯანჯღავას გამოსვლა, რომელმაც სხდომას განუმარტა, რომ სასურველია კონკურსში გამარჯვებულს მიეცეს შესაძლებლობა შესყიდვის ობიექტის შესასრულებლად აუცილებელი ხარჯების დასაფარად წინასწარი ანგარიშსწორების სახით, შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მიიღოს სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30%. აღნიშნული ცვლილებით გაიზრდება კონკურსში მონაწილეთა დაინტერესება და კონკურენციის პირობები. საკონკურსო კომისიის მიერ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება საკონკურსო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სახით.

კომისიის წევრმა, ვასილ ჯანჯღავამ კომისიას წარუდგინა საკონკურსო დოკუმენტის შესწორებული ვერსია, რაც გამოქვეყნდა და დაერთო სხდომის ოქმს.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი, კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ლომიძემ ასევე დადებითად შეაფასა კონკურსის ჩატარების შესახებ დოკუმენტაციის შესწორებული პროექტი.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაციის შესწორებული ვარიანტი;

2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ირაკლი ლომიძე/

კომისიის წევრი: /ვასილ ჯანჯღავა/

კომისიის წევრი: /მალხაზ ოსაძე/

კომისიის წევრი: /კობა ხუბუნაია/

კომისიის წევრი: /გიორგი ტაბიძე/

კომისიის წევრი: /ბესიკი ფოფხაძე/

შენიშვნა: სხდომას არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის წევრი ნინო ინწკირველი, შვებულებაში ყოფნის გამო კომისიის წევრი ოლეგ დოლიძე მივლინებაში ყოფნის გამო.